



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს ჰაილანდის
ჯიოვანი ბიოტექნოლოგია

მამუკა ბარათაშვილი

კრებული

მამუკა ბარათაშვილი
კრებული

მრჩობლელი

ვინ ჩემი ჰბრძანოთ ცუდ ყოფა, ლაყაფთა უსარგებლოსა, მაშვრალა, მიკვირს, სულთ წყენად ზე ხორცთა წარსამგებლოსა. ვით განვიმართლო, უცადმან რა იცის ჩემთვის ჭირებად? ნუმცა ვის მოგხვდეს ჩემებრივ გული მკვნეს- აღმომტირებად. მწირობა სხვათა თემისა, უხმარ და უქმად გდებანი, მუნითგან იცნათ ძლიერი ჩემი სახმილთა დებანი. შეგეწყალოდესთ ყოველთა მწირი, მწირობდეს რებულად, ძნელია, ვჰსცადე, არ იცით: ვინა ხართ თავის ნებულად. შაქარი მისთვის სამსალა, თაფლი არს კოლომანია, გული აქვს დაუდგრომელად, ვით რა ჰსწადს ვერას თქმანია. ვითა ყრმა წამად შვეებული, წამ ურვა მოპოვნებული, გულს უყვავებდეთ, აღხენდეთ, რა გერგოსთ იგი ვნებული.

მოკლე შეწყობილი

წყევა მაქვს საკურველისა, მუხანათისა, ჭრელისა, საწუთოს წამთა მქნელისა, დიდების დამცემელისა. ჩემგან საწუთოს ჩივილი, ჰსცანით თუ მრუდად ყივილი, მაქვან მრავალი ტკივილი, გულკვნესით აღმონთხივილი. ბევრი ჰყავს ჩემებრ მდურავი, ჰხამს ზღვათა მჯდომი მცურავი! ვის მისგან დასაბურავი, უნდა ჰსთმოს, მიჰსცეს თურ ავი. ვინ მისი მიმნდობარია, წამ ერთის მეგობარია, მიჰსცეს ლახვართა მწვდარია, ბოროტ გრძელ, შვება მდარია. «წყეულ ხარ» - ბევრი ჰსჩივისა, მაქებრად არვინ გივისა, ჰნათობ, ვით ცეცხლი თივისა, ცხელ და წამ, მაგრამ ცივისა.

ქება ვახტანგ მეექვსისა

(იამბიკო)

ჩემი ხელმწიფე, ჩემ საქებ არი, არის ის ჩემთვის ვალ ნადებარი, ვითა ბნელთათვის ლამპარ მნთებარი, მიწყვი მნათებად არ დამვსებარი, ჩემ მოცემულთა ჰმუნვა მხვებარი. მისი სახელი მიდიდება, ვინ ღმერთსა მამად უწოდებია, რტო მისი ჩვენთვის უქადებია, მეექვსე ვახტანგ

უბადებია, თვით ქართლის მპყრობად უმზადებია. მე მონა მისი მაქები მნახეთ, თვით გმირი ტანად, შვენიერ სახეთ, იტყვიან ვახტანგ, მებრძოლთა მახეთ, არის დამძლევი ლახვართა მახეთ, ქართლისა მპყრობად, მიწათა და ხეთ. ვით ჩემი ჰნახოთ, სხვაცა ენანი, მაქებნი მიწყვი, მკობად მქმნენანი, არიან მისთვის ძალთა მჩენანი, მე ვაიჯ გული მისთვის მდენანი, წყალობისა ჰყავ, მაქვან ქენანი.

ჩერნიჩკოს ხმაი

შენი ნახვა გულსა ჩემსა ახარებს და ლხინსა სცემს, თვალთა მიჰსცემს სინათლესა, მზისა სხივთა უნათლესს. ტრფიალო ლამაზო, მეტრფიალა ბაია შენი. ვგონებ და არსად არი ესე ლხინთა არ სადარი, გული იქმნა მოცამკვდარი, ლახვართათვის მიცამწვდარი.

ტრფიალო ლამაზო, მეტრფიალა ბაია შენი. თვალთა ცრემლსა, ვითა მილსა ადენ და ჰსწვავ, ვითა ცვილსა, არა ჰკურნე დაკოდილსა, სიყვარულსა შენგან ზრდილსა. ტრფიალო ლამაზო... შენ ხარ კეკლუცთ სინათლეო, რადა გროშავს სიმართლეო?.. ვით დამაგდე, ჩემო მზეო, განმინათლე სიბნელეო, ტრფიალო ლამაზო... რა ვიხილე, მასვე წამსა კაემანი გარე წავსა, სასმენელთაგან უხამსა, ბჭედ დახშულთა განუხვამსა. ტრფიალო ლამაზო...

პოლცკის ხმაი

გულმან რა ჰქმნას საბრალომან, ტყვედ მიეცა საწყალია, ისარს ისვრინ წამწამთაგან, ხელთ უჭირავს საძალია, უღონო და ფერმიხდილი, გზა არსით აქვს სავალია. წარჰხდა ღონე კურნებისა, არსით უჩანს წამალია; დაემონა, არვინ ემწო, ღადარი სწვავს და ალია, ეს ლამჰარი უშრეტელი არ ძველი არს, ახალია. ჰსაჯეთ, კაცთა, გონიერთა მოთმენა აქვს მრავალია, ეპატრონეთ უღონო ქმნილს, ღმერთსა თქვენსა ავალია, დარჩა სასო წარჰკვეთილი, ვერა ჰპოვა წამალია, თვალთა მდულარს წყაროთაგან დაწვნი დანასოვალია, სიხარული ჩემგან მისთვის სატანჯველი ყოველია.

საყვარლისა გონებამან დამადუმა, დამასულა, ნახვა მკლავს და ნახვა მალხენს, ვის ვიგონებ ამას სულა. მოშორება სიკვდილს მიმცემს, ნახვით სიბრძნე დაკარგულა. თვალი, წარბი, ღაწვი, ბაგე შვენიერად დასახულა. სიკვდილი მაქვს სიხარულად, გულმან მტკიცედ განიგულა; იგ ამაყი გულთა მკვლელი ჩემთვის ტანჯვად დანახულა, თუ ვეწივე საწადელსა, რა ჩემგამო განძრახულა, არა მგამა განშორება, სულთა ხორცთა ანაკვსულა. გული კუბოს დაკოდილი, რომელ სისხლით გაბასრულა, შვებულ იქმნა საუკუნოდ, დასამარხად მიწა ყრულა, სურვილითა მოცამკვდარი, სახელოვნად დამარხულა.